სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 3 (4562) • 28 თებერვალი • 2018 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი •

„ნეტავი, შვილთა მრავალთა!“

საქართველოს დიდი სიმდიდრე

რომის სენატში სენატორები, დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, ქონებრივ დეკლარაციას წარადგენდნენ. **გაიუს** და **ტიბერიუს გრაკხების** დედის, **კორნელიას** ჯერი რომ დადგა, მან სცენაზე გამოიყვანა თავისი ორი ბიჭი და ამაყად განაცხადა: **„აი, ესენი არიან ჩემი ყველაზე დიდი სიმდიდრე!“**

დედის დღის – სამი მარტის მისალოცად დედაქალაქის საჯარო სკოლებში მრავაშვილიან დედებს ვეძებდი. 107-ე სკოლის დირექტორს ბატონ **გიორგი ერაძეს** რომ შევეხმიანე, მაშინათვე შვიდი შვილის აღმზრდელი დედა ქიმიის ჩინებული მასწავლებელი **ლიანა აღდგომელაშვილი** დამისახელა და დაუმატა: იგი არამარტო მრავალშვილიანი დედა, არამედ უფროსი მასწავლებელი, ქიმიის ჩინებული სპეციალისტი არისო. დღევანდელ პირობებში შვიდი შვილი! მათი აღზრდა-დაკვალიანება, ეს ხომ გმირობაა! პარალელურად 23 წელიწადი ამ სკოლაში მოწინავე პედაგოგია ქალბატონი ლიანა – ეს ხომ ორგზის გმირობაა.

რედაქციაში მესტუმრა მეუღლე **ნოდარ მამუკაშვილთან** ერთად. ბატონი ნოდარი საქართველოს ბარაქიანი კუთხიდანაა, კახეთიდან, სოფელ ქვემო ქედიდან, ალალმართალი, მშრომელი კაცია. ვინა თქვა, თითქოს „მამა ოჯახში სტუმარიაო?“ განა დედაზე ნაკლები ღვაწლი მიუძღვის შვილების აღზრდაში? ამ საქმეში ნოდარის დიდ დამსახურებას თავად ქალბატონი ლიანაც აღიარებს, რომ არა მისი მუდმივი თანადგომა, ძალიან, ძალიან გამიჭირდებოდაო. ბედნიერია შეხმატკბილებული ოჯახი! მათთან საუბარში ვაჟას სტრიქონები გამახსენდა: „ლამაზად შვილის გამზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადა“. მართლაც, ლამაზად გაზარდეს შვილები, შვილიშვილებიც კი. ერთ უცნაურ დამთხვევაზე შევჩერდები: ყველგან ასო-ბგერა **„შ“** დომინანტობს. შვიდი შვილიდან „შვიდნი დანი თბილისელნი“ არიან. შვილიშვილებიც შვიდნი არიან. შვიდი სიძე გეყოლებათ-მეთქი, – გავეხუმრე ბატონ ნოდარს.

ჯერჯერობით ხუთიო.

ჩამოვთვალოთ, როგორც ეს „გვადი ბიგვაშია“, შვილები: **ნინო, ნონა, ნათია, ნატო, ნანა, ანა, ია,** – ყველამ დედის კვალზე გაიარა – პოლიტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრეს. მხოლოდ იამ – დედაუნივერსიტეტი, დედასავით ქიმიის საიდუმლოებას დაეუფლა. აი, სასახელო შვილიშვილები: **ლონდა, საბა, გაბრიელ გულიაშვილები, ლიზი, იოვანე კევლიშვილები, ბარბარე და ანდრია მიქელაძეები.** შარშან შვიდშვილიანი დედა საქართველოს პატრიარქმა დალოცა და პროექტით **„ოჯახი – მამულისთვის თავდადებულის“** სიგელით დააჯილდოვა.

სკოლაში კი უფროსი მასწავლებელი **ლიანა აღდგომელაშვილი** დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს. უყვართ მოსწავლეებს, მათ მშობლებს, კოლეგებს. თავდადებით ზრუნავს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მაღალი შედეგების მისაღწევად.

ასეთი დედები არიან საქართველოს სიმდიდრე და ძლიერების უშრეტი წყარო.

იმრავლონ! იმრავლონ! იმრავლონ!

ბორის ხარებავა

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

3 მარტი დედის დღეა

ნაირა ნიჟარაძე

ჩვენი ქალბატონები

დედაღვთისმშობელს ვხედავ ბავშვიანს,
ტანზე მარმარა კაბა აცვია,
სულ ავედრებენ სამშობლოს უფალს,
მამული – დედის რძესავით უყვართ.

გაერთიანდეს სამშობლო უნდათ,
და შორს წასულნი დაბრუნდნენ უკან.
დედაო ღვთისავ, არვინ დაგვტოროს,
გთხოვ, რომ უშვილოდ არვინ დატოვო!

მშვენიერები, როგორც ზამბახი,
თვალმოხატული, ტურფად სანახი.
თავისუფალი, არა მონები,
ეს – საქართველოს ქალბატონები!

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის გამოწერა შეგიძლიათ ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელ სააგენტოებში „მაცნესა“ (ტ.2 143 906) და „პლანეტა ფორტეში“(ტ.2 988 990) ან რედაქციის ანგარიშზე: ს/ს „თიბისი ბანკი“ კოდი TBCGBGE 22

მიმღები: პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი: სახალხო განათლება+
ა/ა GE94TB7249236080100007
ს/კ 402010587

ჩარიცხოთ 10 ლარი – ექვსი თვით, 20 ლარი – ერთი წლით, გამოგზავნოთ ელ-ფოსტაზე saxgani@gmail.com და მანდვე მოგვწეროთ მი-სამართი. მიიღებთ ყველა ნომერს მითითებულ მისამართზე.

რედაქცია

მანდატურის სამსახურზე არანაკლებ ეფექტიანი

მშობლიურმა სკოლამ ნოდარ ახალკაცის სახელი უკვდავყო

შემოქმედებითი ხასიათის კლასგარეშე ღონისძიებებში მოსწავლეთა მასობრივად ჩართულობას და აქტივობებს დიდი მნიშვნელობა აქვს: იგი ხელს უწყობს არა მარტო სწავლების ხარისხის ამაღლებას, არამედ აღმზრდელობით საქმიანობაშიც წარმატებების მომტანია.

პირდაპირ ვთქვათ: იგი უსაფრთხო სკოლისთვის მანდატურების ზრუნვაზე უფრო ეფექტიანია. მოზარდი სწავლასთან ერთად უნდა ჩავრთოთ საინტერესო სხვადასხვა

საქმიანობაში, მოკლედ, ამისი მოტივაცია უნდა გავუჩინოთ. დასაქმებულს „ავი მიზნებისთვის“ საფიქრალი დრო აღარ ექნება. დიახ, ახალი მინისტრის ინიციატივებს შორის ერთ-ერთი პრიორიტეტული სწორედ სკოლებში აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გარდაქმნა-გააქტიურებაა.

თბილისის მე-9 საჯარო სკოლის პედაგოგები საქმით და ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ დღევანდელობის ამ მოთხოვნას. სიახლის მაძიებელი, შემოქმედი დირექტორი **მარინე გიგაური** ყოველთვის ხელს უწყობდა, ახალისებდა კარგად გააზრებულ, სახალისო ღონისძიებებს და, აჰა, ახლაც ერთი დაუვიწყარი მოვლენის მოწმენიც გავხდით: ჩატარდა ამ სკოლის აღზრდილი დიდი ერისკაცის, თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული მწვრთნელისა და ფეხბურთელის **ნოდარ ახალკაცის** ხსოვნის საღამო. ჩატარდა იგი შთამბეჭდავად, ემოციურად მოსწავლეახალგაზრდობის მასობრივი ჩართულობით, ყველას მონაწილეობით.

მთავარი მაინც ის არის, რომ სკოლას მისი აღზრდილის, **ნოდარ ახალკაცის** სახელი მიენიჭა.

თუ როგორი რეზონანსით მიმდინარეობდა ეს ზეიმი, ამის შესახებ მოგვითხრობს რედაქციაში გამოგზავნილი ინფორმაცია, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

***

თბილისის მე-9 საჯარო სკოლის დირექტორის, ქალბატონ **მარინე გიგაურის** ვეტერან ფეხბურთელებისა და ფეხბურთის ფედერაციის ორწლიანი თანამშრომლობა ლოგიკურად დაგვირგვინდა. მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა, საბედნიეროდ, კაცთმოყვარე, გულისხმიერი და გამორჩეული მამულიშვილების ძალისხმევით ჩანაფიქრი ბრწყინვალედ განხორციელდა. თბილისის, ნაძალადევის რაიონის მე-9 საჯარო სკოლას მისი წარჩინებით კურსდამთავრებულის, გამოჩენილი ქართველი მწვრთნელის ბატონ **ნოდარ ახალკაცის** სახელი მიენიჭა. ბატონ **ნოდარ ახალკაცის** პიროვნება, მისი მოღვაწეობა ქართული ფეხბურთის ცხოვრებაში ნამდვილად იმსახურებს უკვდავყოფას. ასეთი ადამიანები იშვიათი მაგალითია მომავალი თაობებისთვის. აუცილებელია, ახალგაზრდობამ იცოდეს ჩვენი ფეხბურთელების ღვაწლი და დამსახურება ქვეყნისა და ქართული სპორტის წინაშე. **ნოდარ ახალკაცმა** და მისმა ოქროს ბიჭებმა მსოფლიოს გააცნეს საქართველო, შორს გაიტანეს და მისი სახელი, აამაღლეს ჩვენი ქვეყნის პრესტიჟი. ამაზე დიდი პატრიოტიზმი რა უნდა იყოს? მე-9 სკოლა ამაყობს თავისი აღზრდილით.

2018 წლის 25 იანვარს ბატონ **ნოდარ ახალკაცს** გარდაცვალებიდან 20 წელი შეუსრულდა. საზოგადოებას გვინდა ვაუწყოთ, რომ სკოლისათვის **ნოდარ ახალკაცის** სახელის მინიჭების ინიციატორი ჩვენი ლეგენდარული სპორტული კომენტატორი **ჯამლეტ ხუხაშვილი** გახლავთ. დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ მას. ასევე ინიციატივის განმახორციელებლები არიან ვეტერანი ფეხბურთელები, ბატონი ნოდარის ბავშვობის დროინდელი მეგობრები. მადლობა ქალაქ თბილისის მერიას, საკრებულოს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, ნაძალადევის რაიონის გამგეობას, ნაძალადევის რაიონის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ **დავით ჭელიძეს.**

სკოლის დირექციის, პედაგოგების აქტიური მონაწილეობით მე-9 საჯარო სკოლისათვის **ნოდარ ახალკაცის** სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გაიმართა დაუვიწყარი საღამო. მასში გატაცებით მონაწილეობდნენ სკოლის მოსწავლეები. ისინი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ მნიშვნელოვან თარიღს.

ღონისძიების ორგანიზატორები არიან სკოლის დირექტორი ქალბატონი **მარინა გიგაური,** დირექტორის მოადგილე ქალბატონი **ელეონორა ფერაძე.** უდიდესი წვლილი შეიტანეს ზეიმის წარმატებაში მუსიკალური სტუდიის ხელმძღვანელებმა და ამავე სკოლის მუსიკის მასწავლებელმა ქალბატონმა **ნანა ზარქუამ,** საქართველოს ჩემპიონმა, საქართველოს ნაკრების წევრმა, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატმა სპორტულ აკრობატიკაში, სპორტის მასწავლებელმა – **ნინო ჭავჭავაძემ,** სკოლის პედაგოგმა **ანა ხაჭაპურიძემ** და სკოლაში არსებული ქორეოგრაფიულ ანსაბლ **„აბჯრის“** ხელმძღვანელმა ქალბატონმა **ნონა ჯანდაგაშვილმა.**

სტუმრები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ, ვინაიდან, გამოგიტყდებით, ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. აღტაცება და სიხარული, რომელიც დარბაზში სუფევდა, მარად დაუვიწყარი იქნება.

ნანა ზარძუა

P.S. რედაქტორის მინაწერი: გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია გილოცავთ ისტორიულ მოვლენას – სკოლისთვის ნოდარ ახალკაცის სახელის მინიჭებას. დაე, კიდევ უფრო ბევრი სახელოვანი ერისშვილი აღეზარდოს მე-9 სკოლას!

ალმასიდან – ბრილიანტამდე

როცა სკოლას ღირსეული დირექტორი ჰყავს

საოცრად არის მომართული ადამიანის გონი: მავანი უმნიშვნელო შემთხვევა უდიდეს აღმოჩენებს იწვევს ხოლმე. მაგრამ მანმადე, ამ ყოფითობის მიღმა, ტვინის ყოველდღიური დაძაბული, მიზანმიმართული მუშაობა დგას.

დავაკონკრეტოთ: არქმედი ერთხელაც რომ ჩაეშვა აუზში, წყალში ჩაძირული სხეულის კანონი აღმოაჩინა; გალილეო გალილეიმ ტაძარში მოქანავე ჭაღსა თუ კანდელში ქანქარის პრინციპი ამოიცნო; ნიუტონი კი ვაშლის თავში მოხვედრამ დედამიწის მიზიდულობის კანონამდე მიიყვანა. ანუ, გონის ასე უცნაურად გაბრწყინებამდე, თითოეული, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ფიქრობდა, აანალიზებდა, მთელი შემართებით მიიწევდა ამ აღმოჩენებამდე და გონებაც გაცისკროვნდა.

ბატონ **ზურაბ ბიწაძესაც** კერძო სკოლა „ალმასის“ დაფუძნების (ძმასთან – წარმატებულ ბიზნესმენ **მერაბ ბიწაძესთან** ერთად) იდეა უცებ არ გასჩენია. ეს მისი შეგნებული ცხოვრების ლოგიკური შედეგი გახლდათ: 1978 წელს დაამთავრა თსუ-

ის ფიზიკის ფაკულტეტი; განათლების სისტემაში 1983 წლიდანაა. მასწავლებლად მუშაობდა თბილისის 141-ე, მე-8, 164-ე, მე-16 სკოლებში. ამ სკოლაში 1989 წელს კოლექტივმა დირექტორად აირჩია. **ბატონი ზურაბი პირველი არჩეული დირექტორი იყო საქართველოში.** დამერწმუნებით, ამ ფაქტის მიღმა ძალზე ბევრი რამ იგულისხმება. უპირველესად, პროფესიონალიზმი და პიროვნული ღირსებები. 1995 წელს გლდანის რაიონის განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ დააწინაურეს; რაიონის მეთოდკაბინეტში ფიზიკა-ასტრონომიის მეთოდისტი გახლდათ და, პარალელურად, პედაგოგიკის სამეცნოერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა მეცნიერ-მუშაკად.

ჰოდა, სწორედ იმ საქმე მოჰკიდა ხელი, რაც აგრერიგად კარგად იცოდა – სკოლას – 2003 წელს „ალმასი“ დააარსა და სათავეში ჩაუდგა.

ადამიანი ზუსტად და სწორედ თავის ადგილზეა. რატომ? ჩემს ჟურნალისტურ პრაქტიკაში პირველი დირექტორია **(უკვე ორჯერ პირველია),** ვინც აზრი საჯაროდ თამამად გამოთქვა. ამას პა-

სუხისმგებლობის უდიდესი გრძნობა ავალდებულებს, რადგან, გადაუჭარბებლად, ქვეყნის მომავლის ბედი წყდება სკოლებში რომ უნდა იზრდებოდეს, მაგრამ განათლების სისტემის დანაშაულებრივად გამიზნული ნგრევით უფრო ილუპება, ვიდრე იზრდება. სახელდობრ რა თქვა, ამაზე – ოდნავ ქვემოთ. ჯერ – მოკლედ „ალმასის“

მუშაობაზე.

გამართულად, ურთიერთშეთანხმებულად და მიზანმიმართულად მუშაობს 6-ვე საგნობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის (გამგე – **ლალი მაკასარაშვილი**); უცხო ენებისა (**მარიამ შუბლაძე**); ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა (**ზამირა ახალაძე**); საზოგადოებრივ მეცნიერებათა (**თინათინ ბუსკივაძე**); დაწყებითი კლასებისა (**შორენა ხუჭუა**); ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდისა (**ნაირა შიუკაშვილი**).

უფროსი პედაგოგები: **ეკატერინე ალთუნაშვილი, მაკა ბურდიაშვილი, თინათინ ბუსკივაძე, ანა თოლორდავა, ეკატერინე კანდელაკი, ლალი მაკასარაშვილი, მარიკა მუმლაძე, თამარ ოყროშიძე, ირინე ფერაძე, დალი ჩინჩილაძე, მანანა ხმალაძე, შორენა ხუჭუა;** მათი პრაქტიკოსი კოლეგები: **ზამირა ახალაძე, თამარ ბოჭორიშვლილი, ბელა ბუნტური, შალვა თეთრაშვილი, თამარ მამულაშვილი, დავით მენაბდიშვილი, ეთერ მიქაძე, ლეილა ტურძელაძე, ლიზა ტყემალაძე, მარინა ღვინცაძე, მერი ყაველაშვილი, ლამარა შათირიშვილი, ნაზო შანავა, მარიამ შიკლაძე, ინგა შიუკაშვილი, ნაირა შიუკაშვილი, ნანა ჭუმბურიძე, სალომე ჭუმბურიძე, ნონა ჯალაბაძე;** პედაგოგები: **სოლომონ ბიწაძე, ნათია თედიაშვილი, მარიკა ტატუნაშვილი,** ხატოვნად რომ ვთქვათ, მთელ ცოდნას, გამოცდილებასა და მონდომებას აქსოვენ, რათა სკოლის 224 „ალმასი“, ანუ მოსწავლე , „ბრილიანტებად“ ჩამოქნან.

მოქმედებს ხალხური საკრავების (ხელმძღვანელი – **ემზარ ხელაძე**); ქართული ხალხური ცეკვების (**რაინდ სამხარაძე**); კარატეს (**დავით მენაბდიშვილი**); ჭადრაკის (**სოლომონ ბიწაძე**) წრეები. კოლექტივს უნარიანად უძღვება დირექტორის მოადგილე **ლია როსტიაშვილი.** სკოლის წარმატებაში თავისი წვლილი შეაქვთ სამეურნეო განყოფილების გამგეს **გივი ბერიძეს,** ბუღალტერ **რამაზ ბაღდოშვილს,** საქმისმწარმოებელ **სოფიო გორგაძეს,** დამლაგებელ **იზოლდა როსტიაშვილს.** მოსწავლეები

აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ოლიმპიადასა და კონკურსში. ეროვნული ოლიმპიადის მესამე ტურში 6 ყმაწვილი გადავიდა. სკოლამ გაიარა ატესტაცია. იგი ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. I-VI კლასელებისთვის მოქმედებს გახანგრძლივებული დღის ჯგუფი.

***

კოხტად გაწყობილ-გაფორმებულ ბიბლიოთეკაში ვსხედვართ. ყველაფერს ეტყობა ბიბლიოთეკარ **ნათია ლეჟავას** მზრუნველი ხელი. თვალსა და გულს ახარებს ქართველი ერის, ტაო-კლარჯეთის ისტორიის, ქართლის ცხოვრების, ქართველ კლასიკოსთა ტომეულები.

დირექტორმა გაიხსენა, წიგნების გამოფენა გავმართე. მანდატურმა მყისვე აფრინა „დანოსი“ განათლების სამინისტროში, წიგნებით ვაჭრობენო. იღბლად, იქ გონ-

იერი კაცი დახვდა, სკოლაში წიგნები უნდა იყოს, აბა, სხვა რაო. მას მერე „ალმასში“ მანდატური აღარ გაჭაჭანებულა. დარაჯი **გიორგი ავალიანი** მშვენივრად უძღვება საქმეს.

ზემოდაპირებული გულახდილობა – ხმები დადის, ნიშნებს აუქმებენ და მხოლოდ თამასის გადალახვაღა შეგვრჩა-მეთქი, ვუთხარი.

ზურაბ ბიწაძე: „ეს დაღუპავს ისედაც დაღუპვის პირას მდგომ განათლების სისტემას. ბავშვებს მოტივაცია დაეკარგებათ. რამდენი მინისტრიც მოვიდა, ყველამ რეფორმები დაიწყო. ხშირად – ურთიერთსაწინააღმდეგო. აქეთ ვაშლები, იქით კომბლერას მიჰქვიაო. ეგებ, გველირსოს სკოლის მცოდნე მინისტრი. რაც თანხები იფლანგება ამ უაზრობებში, მასწავლებლებისთვის მოეხმარებინათ და მკაცრად მოეთხოვათ. თორემ, მოთხოვნებზე ყოჩაღები არიან, სათანადო პირობების შექმნასა და შრომის ნორმალურად ანაზღაურებაზე კი უკაცრავად ბრძანდებიან. მოგვარდეს ურთიერთობა მასწავლებელსა და მშობელს შორის. IV კლასამდე კიდევ აინტერესებთ შვილები, მერე კი მთლიანად ჩვენ მოგვიგდებენ ხოლმე“.

მოდი და შეედავე. მოსწავლეთა ტოტალური, საყოველთაო უვიცობის „თამასობით“ შენიღბვა ნებავთ. ამ ე. წ. ბარიერსაც მასობრივად გადაალახვინებენ და ჩვეულებად ქცეული უტიფრობით შეგვაყრიან თვალში ნაცარს, აგერ, კურსდამთავრებულთა ლამის ასმა პროცენტმა დასძლია თამასაო.

კიდევ ბევრი ვისაუბრეთ, მაგრამ უმთავრესზე დაიწერა.

ქართული ანდაზა გვაფრთხილებს, სიმართლის მთქმელ კაცს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყადესო.

არა ჰგავს ბატონი ზურაბი ცხენზე ადვილად შესასკუპებელ კაცს. ასეთი გულალალი, პირში მთქმელი დირექტორია საჭირო, ვინც ყველაფერს გაიღებს, რათა ქვეყანას მართლაც მამულიშვილები აღუზარდოს თუ ლაქუცა, ქლესა, უვიცი, პირში წყალჩაგუბებულნი, ვისი დანაშაულებრივი ეგოზმის გამოც – ორივე ხელით რომ ჩაფრენიან დირექტორის სკამებს – მართლაც დაღუპვის პირას მიიყვანეს სამშობლოს მომავალი.

კონსტანტინე გურგენიძე

ნომრის სტუმარია კოჯრის საჯარო სკოლა N 214

აქ მაღალ მედეგებზე ორიენტირებულნი მოღვაწეობენ

მიხეილ ჯავახიშვილი წერდა: „სოფელს მაშინ გაუვარდება სახელი, როცა იქ დიდი ომი მოხდება ან დიდი პიროვნება დაიბადებაო“. ისტორიულად სახელგანთქმული სოფელი კოჯორი ორივე ამ კუთხით მეტად ცნობილია. აქ ცხოვრობდა და ცხოვრობს: „ერი გულადი, პურადი, მოყვარე თავის მიწისა“. დედაქალაქთან შემოერთებამ მას ვერ უცვალა იერ-სახე. კვლავ ამაყობს ეკოლოგიურად ჯანსაღი ბუნებით, ზღაპრული ტყითა და ფლორა-ფაუნით. და მაინც სოფლის მშვენება გახლავთ მდიდარი ტრადიციების **214-ე საჯარო სკოლა** – მზრდელი მრავალი სახელოვანი მამულიშვილისა. როგორც სათაურში ვთქვით, დღეს აქ მოღვაწეობენ მაღალპროფესიონალი, თავისი საქმის ერთგული პედაგოგები. აქ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს უნარიანად უძღვება მეტად გმოცდილი, სიახლეთა დამნერგავი, შემოქმედი დირექტორი **თამარ შუბლაძე.** იგი პედაგოგის ოჯახიდან გახლავთ. მამას, რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს **ედუარდ შუბლაძეს** კარგად იცნობენ განათლების სისტემაში. თბილისის 108-ე საჯარო და სხვა სკოლებში იგი ფიზიკულტურის წამყვანი სპეციალისტი იყო. (შენიშვნა: დღეს ცხოვრების მოთხოვნაა, ფიზიკულტურის სწავლება უნდა აღდგეს სკოლებში და როგორც საგანმა, კვლავ დაიმკვიდროს თავისი ღირსეული ადგილი).



თამარ შუბლაძე სულ ორი წელია, აქ მუშაობს და სკოლას უკვე დაატყო სასიკეთო ხელი – ბევრი წარმატებაა მიღწეული.

დირექტორს პედკოლექტივთან ერთად მხარში უდგას ასევე გამოცდილი მოადგილე **ხათუნა მამაცაშვილი** და ბევრს ზრუნავს სკოლის საერთო წარმატებისათვის.

ყველაზე უფრო გასახარი ის გახლავთ, რომ სკოლამ მხარი აქტიურად აუბა ახალი მინისტრის ბატონ **მიხეილ ჩხენკელის** ინიციატივებს, მის სარეფორმო პროექტებს. ამათგან ყველაზე პრიორიტეტული **სწავლების ხარისხის ამაღლებასთან ერთად აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებაა.** ყველა მოსწავლე საქმით უნდა იყოს დაკავებული. მოზარდის გონებაში უსაქმურობისგან არ უნდა მომწიფდეს „ავი ზრახვანი“, რომ არ განმეორდეს 51-ე სკოლაში მომხდარი უბედურების მაგალითები.

დიახ, ასეთი მუშაობისთვის მზად არიან კოჯორელი პედაგოგები. ამ და სხვა პრობლემებზე გთავაზობთ სკოლის დირექტორთან საუბრის მოკლე შინაარსს.

– ჩვენი სკოლის პედაგოგებით, ყველა მუშაკით ვამაყობ, რადგანაც ისინი დიდ დროს და ენერგიას ხარჯავენ სკოლის კეთილდღეობისათვის, ზრუნავენ ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. სკოლაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესები. ბევრი სიახლე დაიგეგმა და დაინერგა: გაფორმდა მემორანდუმი კოლეჯ **„იკაროსთან“,** რომლის საშუალებითაც განხორციელდა სამი ახალი პროექტი: **„მზარეული“, „სერვისი და სერვირება“, „შაქრის ფლორისტიკა“.** ამ პროექტებში დიდი ინტერესით ჩაერთვნენ მოსწავლები, რაც დაეხმარება მათ საჭიროების შემთხვევაში პროფესიის დაუფლებაში.

სკოლაში ფუნქციონირებს ინტეგრირებული კლასი სსსმ მოსწავლეებისათვის, ბენეფიციარები წარმოადგენენ კოჯრის სახლის აღსაზრდელებს. ისინი ფსიქოლოგის, სპეც-მასწავლებლების და პედაგოგების დახმარებით ახდენენ ინტეგრირებას საზოგადოებასთან და უნარ—ჩვევების განმტკიცებას. პროექტი ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს მიერ.

სკოლის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ 2016/2017 სასწავლო წლისთვის გარემონტდა საკლასო ოთახები, კიბეები და დერეფნები. გარდა ამისა 2017/2018 სასწავლო წელს ამავე სააგენტომ გამოყო დამატებითი ხარჯები და იგეგმება სკოლის საასადილოს რეაბილიტაცია.

მოსწავლეებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული **„საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“** პროგრამის ფარგლებში ემსახურება ტრანსპორტი, რომელსაც გადაყავს **სოფელ კიკეთის** და დაბა **კოჯრის** სკოლიდან 3 კილომეტრზე შორს მცხოვრები მოსწავლეები. ამ პროექტით კმაყოფილები არიან მშობლები, ვინაიდან რეისები სრულდება რეგულარულად. ბავშვებს სკოლაში აღარ აგვიანდებათ.

როგორც ზემოთ ითქვა, სკოლას ჰყავს 25 გამოცდილი პედაგოგი, რომელთაგან 2 მათგანი – **დარეჯან ამაზაშვილი** და **გვანცა მოლაშხია** არიან სერტიფიცირებულნი და ამის შესაბამისად – წამყვანი მასწავლებლები.

მათემატიკის ენით თუ ვიტყვით, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი ხარისხი, წარმატებები პირდაპირპროპორციულია საგნობრივ-მეთოდური კათედრების მოქნილი მუშაობისა. ამ მხრივ რეალობა სანიმუშოა. სკოლაში არის 7 საგნობრივი კათედრა. კათედრის ხელმძღვანელებად შერჩეულნი არიან გამოცდილი პედაგოგები. სწავლობენ მოწინავე გამოცდილებას, ნერგავენ მეთოდურ სიახლეებს, ინიციატივებს. უნარიანად ხელმძღვანელობენ:

მათემატიკის კათედრას – **ვენერა ქურდაშვილი,**

ქართული ენისას – **დალი შავშიშვილი,**

უცხო ენებისას – **ნინო კვინტრაძე,**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრას – **მაყვალა ბექაური,**

საზოგადოებრივი მეცნიერებისას – **ლიანა აზარიაშვილი,**

დაწყებითი კლასების კათედრას – **მზია ჯაფიაშვილი,**

სპორტისა და ესთეტიკის კათედრას – **ია გათენაშვილი.**

სი გამოიწვია მოსწავლეებში, გააფართოვა მათი მხატვრული და შემეცნებითი თვალსაწიერი. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ უფრო მასშტაბური იყოს მოსწავლეთა ჩართულობა და აქტივობები სასწავლო-შემოქმედებით პროცესებში.

ახალი მინისტრისგან ველით, რომ იგი აუცილებლად დახვეწს **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების** და **კარიერული წინსვლის** გეგმას, ასევე ბევრ საიმედო პროექტს განახორციელებს. ამით მომავალი თაობების აღზრდაში ნათელ კვალს დატოვებს.

გალაკტიონი წერდა: „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დამრჩა დაულეველი“. ჩვენც ბევრი კარგი რამ დაგვრჩა სათქმელი პედაგოგიური კოლექტივის თავდადებულ საქმიანობაზე. მოდით, შემდეგისთვის იყოს!

სკოლას აქვს სახელმძღვანელოებით, მეთოდიკური და სხვა სახის ლიტერატურით მდიდარი **ბიბლიოთეკა.** აქ მოსწავლეები რეგულარულად კითხულობენ კლასგარეშე ლიტერატურას, ასევე სკოლის წიგნების ფონდს იყენებენ სხვადასხვა პროექტების დამუშავებისას. ბიბლიოთეკარი **ხათუნა იაშაღაშვილი** აწყობს საინტერესო ღონისძიებებს, უღვივებს მოსწავლეებს წიგნის კითხვის ინტერესს, ემსახურება წიგნიერი თაობის აღზრდას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია კომპიუტერული ბუმის პირობებში. კომპიუტერმა ლამის ხელიდან გააგდებინოს წიგნი მოზარდს, ლამის წერა-კითხვა დაავიწყოს. ეს ხომ დასანანი ფაქტია?

სკოლა ჩაბმულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტში **„თავისუფალი გაკვეთილები“.** მის ფარგლებში ჩატარდა გაკვეთილები **„ლიტერატურული თეატრი“** და **„ილია ჭავჭავაძის შემოქმედება“,** რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეებში, გააფართოვა მათი მხატვრული და შემეცნებითი თვალსაწიერი.

გვჯერა, კოჯრის საჯარო სკოლა სასწავლო წელს სასიხარულო შედეგებით დაასრულებს. ამისი თქმის საფუძველს **დირექციის, მასწავლებლების, სკოლის ყველა მუშაკის გატაცებული მოღვაწეობა გვაძლევს.**

ბორის მიშველაძე
პედაგოგიკის
მეცნიერებათა დოქტორი

P.S. **რედაქტორის მინაწერი:** საჭიროა მასწავლებლის ავტორიტეტის ამაღლება. მართალია, პედაგოგმა თავად უნდა აიმაღლოს თავისი რეიტინგი, მაგრამ დღევანდელ პირობებში მთავრობის თანადგომა აუცილებელია. ნურავინ იფიქრებს, თითქოს პედაგოგთა მატერიალურ-მორალური სტიმულირების ადრე არსებული ფორმები **„დამსახურებული“** და **„სახალხო“** მასწავლებლის წოდებები საბჭოური გადმონაშთი იყოს. **ვთხოვთ განათლების სამინისტროს, აღადგინოს ეს ღირსეული ტრადიცია.**

„ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა!“

...და შუადღისა ჟამი დამდგარა...

ერთ-ერთი ლათინური გამოთქმა გვეუბნება, რომ „პოეტებად იბადებიან, ორატორებად კი იქმნებიანო“, – მე კი ვიტყოდი, **მასწავლებლადაც** იბადებიან!

და სწორედ მასწავლებლად არის დაბადებული კერძო სკოლა **„ივერონის“** სასწავლო ნაწილში დირექტორის მოადგილე **მარინე ბექურიძე**.

„მოსწავლე ჩირაღდანია, რომელიც უნდა აანთო და კარგი „მეჩირაღდნის“ სახელიც დაიმკვიდრა მარინე მასწავლებელმა.

არჩევანიც ლოგიკური აღმოჩნდა – სწავლა-აღზრდის რთული, მაგრამ კეთილშობილური გზა.

რა არის **მარინე ბექურიძის** ცხოვრების კრედო? – **„სხვისი შვილები!.. “**

„მაქციე დედად, თვით ყველაზე გულწრფელ დედად, რომ საკუთარ თვალზე მეტად შევიყვარო და ჩემი სულის ნაწილად ვაქციო, ვინც ხორცით ჩემი არ არის“!..

ასე იწყება ჩინელი პოეტი ქალის **გაბრიელა მისტრალის** სტრიქონები... მე კი არ მეგულება მეორე დიდი გრძნობა (მშობლიურის გარდა), მასწავლებლის სიყვარულსა და პატივისცემას რომ შეედაროს.

მასწავლებლისათვის ყველაზე დიდი ჯილდო სიყვარულია.

მასწავლებელი - სიმბოლო სიკეთის, სიწმინდის, რწმენის...

მასწავლებელი - უპრეტენზიო, „მცირედით კმაყოფილი“, ყოველთვის ახალგაზრდების თვალით მომზირალი.

ვინ შეარქვა მასწავლებელს **„სულის მოძღვარი? “** – მოსწავლემ, მშობელმა, საზოგადოებამ!

და ვინ უნდა გაუფრთხილდეს მის წმინდა სახელს? – თვით **მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, საზოგადოება!**

მასწავლებელი... რამდენ სითბოს იტევს ეს ერთი სიტყვა... მასწავლებელი ხან მოღიმარი, ხან ჩაფიქრებული, მხურვალე გულით მუხლმოყრილი თავისი საპატიო მოვალეობის წინაშე.

რაოდენ ურთულესი, შრომატევადი და წერტილდაუსმელია მასწავლებელთა შრომით აკინძული ფურცლები. სხვა ვინ იცის, თუ არა მასწავლებელმა

კენწეროში გატკბილებული ნაყოფის ფასი.

ყოველივე ეს და დაფასებული ღვაწლის საგალობელი დღეც... ბედნიერი წუთებია, მოკრძალებული, აუღელვებელი: ...გჯერა და იცი, რომ იშლება დიდი მატიანეს ეტრატი.

მარინე მასწავლებლის ცხოვრებაშიც გაზაფხულის **ორმოცდაათ ვარდისფურცლობას** გადაუქროლია, ორმოცდაათ შემოდგომის ფერთა სიმფონიასა თუ ზამთრის ფანტელთა დნობას უზეიმია, ორმოცდაათ ყვავილთა კოლაჟს სურნელი უფრქვევია...

კარებს დედა-გაზაფხულიც შემოაღებს!.. ფაქიზი ოცნების ჟამი...

და არის ქვეყნად ჩაუქრობელი სიცოცხლე, არის სილამაზე, არის სიკეთე თუ სიყვარული, რამეთუ არის ქვეყნად ქალი - დედა - მარადიული გაზაფხული.

ასეთი ლამაზი გაზაფხულია სკოლა **„ივერონელთათვის“ ჩვენი მარინე!..**

და ყოველი ჩვენგანი მასთან მივიჩქარით ამოუცნობელი სიყვარულით... ვინ წრფელი აღსარებით მივმართავთ... ვინ დიდი ნდობითა თუ იმედიანი განწყობით... ვინ მოთვლის, რამდენ ახალგაზრდას თუ პედაგოგს მოფერებია თავისი ჩვეული თბილი სიტყვებით,

რამდენთა გულები გაუთბია, რამდენი იმედგაცრუებული დაურწმუნებია, რომ მიუხედავად უამრავი პრობლემისა, ცხოვრება მაინც მშვენიერია...

და შეუდარებელი მეგობარი! ადამიანებთან ურთიერთობის გასაოცარი უნარით დაჯილდოებული, მზიანი გულის ადამიანი...

აი, ღირსებით აღსავსე „სამკაულები“, რაც ქალბატონ მარინას სულიერ სიმაღლეს რომ ადიადებს...

ოჯახური იდილია - მშვიდი, გაწონასწორებული, წრფელი სიყვარულით ამაღლებული.

მეუღლეობრივი სიყვარული?!. მტკიცე, ორიგინალური ზნეობრივი თვისებებით ზეაწეული, პოეტური რომანტიკით შთაგონებული, უბერებელი გრძნობით დაუნჯებული – „მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი, ხელუხლებელი - როგორც მზის სხივი“.

დედაშვილობა საოცარი... ანი – პირველი სიხარული, პირველი სიყვარული, „ღვთის საჩუქარი“ **ჩიჩუების** ოჯახისა, **ანი ჩიჩუა** „ივერონის“ „ნათლის სვეტი“, მოსწავლე, განუმეორებელი და ერთადერთი... ოქროს მედლის კანდიდატი... აბიტურიენტი...

გაისად დედის გულს ირაკლიც გაახარებს!..

„ნეტავი ბევრი გაზარდოს, ამისთანები სკოლამა!..“

„შენ კი ბედნიერ ხარ დედაი, რამეთუ უფალმა ღირსად გიბოძა „ნიჭი“, ნიჭი დედაშვილობასთან მადლცხებისა“.

P. S.

წინ კვლავ დიდი აუდიტორიაა... მის მფლობელ იუბილარს უფრო მეტს ავალებს... უფრო დიდი სიმაღლეებისაკენ მიუხმობს, რათა მეტი ფასი დასდონ ქალბატონ მარინეს სამომავლო გზას...

რა ბედნიერი წუთებია... ვტოვებთ საიუბილეო დარბაზს... დედაქალაქში გაზაფხულის სურნელი დავანებულა... მალე იმძლავრებს იებიც, ენძელებიც...

ლამაზია სიცოცხლე - უფრო მწველი „მზე გაზაფხულისა...“

და **... „რა ვუყოთ, რომ შუადღისა ჟამი დამდგარა**

მზე შუადღისა უფრო მწველია, უფრო ანკარა“!

თინა ჩხეიძე — სკოლა „ივერონის“ პედაგოგი, ჟურნალისტი

„დედავ – ცხოვრების ბურჯო მაგბარო!“

პედაგოგი – დიდებული და პოეტი – ჩინებული

ახლახან, დედის დღის აღნიშვნამდე ცოტა ხნით ადრე, ეროვნულ (ყოფილ საჯარო) ბიბლიოთეკაში პოეზიის საინტერესო საღამო მოეწყო. როგორც ყოველთვის, ახლაც მას ლამაზად გაუძღვა ცნობილი პოეტი, **ჯუმბერ ლეჟავას აკადემიასთან** არსებული პოპულარული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ჟურნალ **„ათინათის“** მთავარი რედაქტორი **გულნაზ ხარაიშვილი**.

წარმოადგინეს რეჟისორ **ნიკო ბაღაშვილის** საავტორო ფილმი, რომელიც მიეძღვნა დიდ მოღვაწესა და ქველმოქმედს **სულიკო სამხარაძეს** დაბადების დღესთან დაკავშირებით. საღამო ემოციურად, ხალისიანად წარიმართა. მონაწილეობდნენ: აკადემიკოსი **ნიკო ხერკელაძე**, აკადემიის წევრები: **ანზორ ჯაფარიძე, ეთერ მდინარაძე, ნოდარ ხარაიშვილი, ბერი მამა პიროსი, სულიკო სამხარაძე, ნ. ბალანჩივაძე...** ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: **ნაირა ნიჟარაძემ, ლეილა გაფრინდაშვილმა, გურამ ჭავჭანიძემ, ლამზირა შეყილაძემ.**

ამ დიდებულ ანსამბლში შთაგონებული გამოსვლით ჩაერთო თბილისის 142-ე საჯარო სკოლის ქართულის ჩინებული მასწავლებელი **მაყვალა გერმანოზაშვილი**.

მაყვალას თან ახლდა გოგო, პირველკლასელი **ლელა მუხიგულაშვილი.** დამსწრეებმა იფიქრეს, პედაგოგმა პატარა მარტო შინ ვერ დატოვა, თან წამოიყვანაო, მაგრამ ყველამ ყურები ცქვიტა, როცა, ცეროდენა **ლელამ** მხატვრულად წაიკითხა ბებოს ლექსი **„ყაყაჩო“:**

ყაყაჩოს გულში ჩავხედე,
მარტოდ ამოსულს კლდეზედა,
სისხლის კივილი მომესმა,
მიწიდან ამოყოლოდა.
ჯვარი უფლისა შიგ გულში
ჩაეკრა, ჩაკონებოდა.
თავი დავხარე, ვემთხვიე,
მადლი შევწირე გამჩენსა.

თბილისის 142-ე საჯარო სკოლაში ყველას კარგადა აქვს გასიგრძეგანებული კლასგარეშე ღონისძიებების უდიდესი სასწავლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ასეთი მუშაობის სტილი ყოფილი დირექტორის, **სოსო ლაგვილავას** დროს დამკვიდრდა, ტრადიციულად იქცა. კლასგარეშე მუშაობა უფრო მაღალ დონეზე დახვეწა ახალმა, შემოქმედმა დირექტორმა **შორენა ცნობილაძემ**. აქ ყველას კარგად ესმის: მოსწავლეთა დაინტერესება და ჩართულობა მსგავს ღონისძიებებში აგვარიდებს ბევრ უბედურებას და მანდატურის რეჟიმზე გაცილებით მეტია – მოზარდი დაუსაქმებელი არ რჩება.

მაყვალა გერმანოზაშვილი ერთ-ერთი გამორჩეული მასწავლებელი გახლავთ. წლების მანძილზე ენა-ლიტერატურის კათედრას უძღვებოდა. დღეს კი ამ მეთოდურ გაერთიანებას **ლეილა ჟამიერაშვილი** ხელმძღვანელობს. მტკიცედ, მეგობრულად შეკრული ჯგუფია კათედრა, რომლის წევრები: **ლელა საური, ლილიანა გვიჩია, ლია ვაჩეიშვილი, მარინე სარალიძე, მარინე ხუციშვილი, რუსუდან კვერნაძე და მაკა ფარეიშვილი მაყვალასთან** ერთად შეხმატკბილებულად მოღვაწეობენ. მეთოდური და კლასგარეშე მუშაობის საინტერესო, მდიდარი გამოცდილება აქვს მაყვალა მასწავლებელს. ამას თუ დაემატება, რომ თავად პოეტი გახლავთ, ცხადი გახდება, როგორ უჭირავს ხელთ მოზარდის სულის გაფაქიზების, მისი ლიტერატურულ-ესთეტიკური აღზრდის, ენის, მამულის, სარწმუნოების სიყვარულით მათი ჩამოყალიბებისთვის ზრუნვის სადავე. აი, ლიტერატურული სალონი, სადაც მაღალი რანგის ღონისძიებები სისტემატურად ტარდება. აი, თუნდაც: მოსწავლეებმა განიხილეს ტრაგიკულად დაღუპული პოეტის – **ზურაბ ჯაფარიძის** ლექსები. მოსწავლეებმა პოეზიის საღამოზე განიხილეს თანატოლის, **ლიზი ბუდაღაშვილის** ლექსთა კრებული **„ფიქრობანას თამაში“. ლიზი** მუსიკოსიც გახლავთ და მხატვარიც. მოწვეული ჰყავდათ მწერლები: **ქეთევან დოლიძე, თამარ გაბროშვილი, ბადრი სულაძე,** პოეტ-აკადემიკოსი **რაულ მამალაძე.** იყო და იქნება **„ვეფხისტყაოსნის“** გაკვეთილები, ექსკურსიები. აი, ოლიმპიადებზე გამარჯვებულთა „რა სიუხვეა, რა სიმრავლეა!“ იაკობის საიუბილეო წელს სკოლამ საქართველოს მასშტაბით კონკურსში გაიმარჯვა და დაჯილდოვდა **„გოგებაშვილის მედლით“,** მოსწავლეები და პედაგოგები კი – დიპლომებით, სიგელებით.



ვთქვით, **მაყვალა გერმანოზაშვილი** ჩინებული პოეტიაო. აბა, წერილს ისე როგორ დავამთავრებთ, მისი ერთი ლექსი მაინც რომ არ გაგასინჯოთ, მით უფრო გაზაფხულის მოლოდინში.

აი, გაზაფხული!

წვიმის შემდეგ ფიჭვის წიწვებს
შერჩენოდათ ცის ცრემლები
მჭვირვალები... ბეღურები
ჟღურტულებდნენ
სადღეგრძელოს
პირდაბანილ გაზაფხულის,
ჟამი იყო კურთხევისა,
სუნი იდგა საკმეველის.

მალე გვენახოს თქვენი ლექსთა კრებული, მაყვალა მასწავლებელო!

142-ე საჯარო სკოლის ყველა ქალ პედაგოგს ვულოცავთ დედის დღეს და გაზაფხულის მობრძანებას.

თქვენი კოლეგა
ბორის მიშველაძე

3 და 8 მარტი

ნაირა ნიჟარაძის ორი ლექსი – დედას

ისე როგორ შეიძლება, სამი და რვა მარტი ვიზეიმოთ და ცნობილმა პოეტმა **ნაირა ნიჟარაძემ** ლექსები არ მიუძღვნას ქართველ ქალს – დედას ან პედაგოგს – ზოგჯერ უშვილოს, მაგრამ „ათასი ბავშვის“ მშობელს.

ქართველი ქალი

დინოზავრების მსგავსად ლეკებმა
წინათ გადაწვეს ვაზი, კახეთი,
ვერ შეაჩერეს შემოსეული
მტერი ავსული, თითქმის არც ერთი.

ეს არ იკმარეს, ტყვედ წაიყვანეს,
წინანდალელი ქალბატონები,
ბევრი ეცადეს და ვერ გახადეს,
მშვენიერები მათი მონები.

ქართველი ქალი ხმლითაც იბრძოდა,
დაიცვა ქვეყნის მიწის ნაწილი,
სხვა ტომებს ჰქონდათ ჩვენი მამულის
ხელში ჩაგდების დიდი წადილი.

ნაზი, სუსტი და თვალმშვენიერი,
იცავდა ჯიშს და ჩვენს ადათ-წესსაც,
ეკა წერეთელს, თინა წავკისელს
რკინის ჯუბა და აბჯარი ეცვა.

რომელი ერთი უნდა ვახსენო,
მოსაგონარი ძლიერ ბევრია,
ალბათ დროების არის მიზეზი,
ზოგჯერ თუ ცუდი გამოერია.

სულ უცხო ტომი გვებარებოდა,
რომ წაერთმიათ ჩვენთვის მამული,
ჯალალ-ედინებს და შაჰ-აბასებს,
წვავდათ სურვილი არაფარული.

ბევრის ამტანი არის ქართველი,
იგი ცხოვრობდა იმედით ხვალის,
დედაც ის იყო, მებრძოლი რძალიც,
გული კი ჰქონდათ რკინის და რვალის.

იცავდა თავის მშვენიერ კუთხეს,
და თავის დამცველს თვითონვე შობდა,
უვლიდა მშობელს, პატარა მამულს,
გაწკრიალებულ ეზოს და ოდას.

და ამრავლებდა ვარდის სადარი,
აღორძინებულ ოჯახს და ფუძეს,
ქართველი ქალი გმირია მუდამ,
იქ არის, სადაც მშვიდობა სუფევს!

ქალს – დედას, მეშახტეს

(ლამარა ბექაიას)

შენ, მშვენიერო ასულო,
მაღალო, შავთვალიანო,
ბათუმის წალკოტ ბაღებში,
რად აღარ უნდა იარო?!

მამა იმ შავბნელ დღეებში,
37-ში დახვრიტეს,
და სიყვარული უებრო,
წრფელი გულიდან დაფლითეს.

დედამ სუსტმა და ძლიერმა,
გაგზარდა, გილოლიავა,
მან შეგვაყვარა სამშობლო,
და შეგადარა ია-ვარდს.

ისწავლე, მთებში ვიდოდი,
წიგნებიც ბევრი იკითხე
და ეს ცხოვრება მრისხანე,
სულ დასაძლევად იკისრე.

ტყიბულის „შახტა“ მოგანდეს,
ჩაფხუტით შემოიარე,
და სულ ზეპირად იცოდი,
მიწისქვეშეთის მდინარე.

შრომობდი, როგორც მეშახტე,
თბილისმეტროსაც სტუმრობდი,
როგორც ვაჟკაცი უშიში,
ზოგჯერ კიდევაც ხუმრობდი.

ახლა მოგიხტა სიბერე,
ძალ-ღონე გამოგილია,
ადექ, ქალო და ვაჟკაცო,
ახლა შვილები გივლიან.

შენი ღვაწლი და სიფხიზლე,
არავის დავიწყებია,
დიდხანს იცოცხლე, ძვირფასო,
ღიმილიანო ბებია!

ნაირა ნიჟარაძე

სიტყვა – საქმიანი

სწავლა-აღზრდის მტკიცედ გამოჭედილი ჯაჭვი

თბილისის 209-ე ბაგა-ბაღში სასიამოვნო მოულოდნელობა დამხვდა – დირექტორი, ქალბატონი **ელისაბედ გორგიშელი** კოლეგა აღმოჩნდა.

1989 წელს დაუმთავრებია თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი და სპეციალობითაც უმუშავია. გამახარა მისმა სხარტმა, ლაკონურმა, წიგნიერი ქართულით გადმოცემულმა პასუხებმა, რაც, სამწუხაროდ, ასე იშვიათი ხილია გნებავთ, ჟურნალისტიკაში, გნებავთ, განათლების სისტემაში.

ყველაზე მეტად კი სწავლა-აღზრდის სირთულეების მისეულმა ხედვამ და იმან გამახარა, რომ მისი ყოველი სიტყვის მიღმა კონკრეტული საქმე იდგა: შარშან დაინიშნა დირექტორად, ანუ ეს მისი პირველი სასწავლო წელია. მხოლოდ ერთი სემესტრი გავიდა, მაგრამ, მერიის „ხელდასმით“, უკვე გარემონტდა, აღიჭურვა მთავარი და ჯგუფების სამზარეულოები, ბავშვების საძინებლები, შეიცვალა ელექტროკვანძი და ელექტროგაყვანილობა; დამონტაჟდა უსაფრთხოების ბადეები, სპეციალური საკეტები – ფანჯრებზე; ბაღის დიდი ტერიტორია ყოველდღიურად საგულდაგულოდ მოწმდება, რომ იქ ბავშვებისთვის საშიში რაიმე ნივთი ან საგანი არ ეგდოს...

იყო სიძნელეები? დიახო, მაგრამ დირექტორმა ეს ისე, სასხვათაშორისოდ აღნიშნა, ცხადი გახლდათ: წარსული წარსულში დატოვა; მისი მთავარი საზრუნავი ბაღის აწმყოა, ის აწმყო, რამაც უკეთესი მომავალი უნდა განაპირობოს. ამიტომ, სწორედ ახლა მზადდება ზაფხულში ბაღის მთლიანად განახლების წინაპირობები, სხვა მნიშვნელოვანი სიახლეები, რაც გაცილებით უკეთეს პირობებს შეუქმნის პედკოლექტივსაც და აღსაზრდელებსაც. თუმცა, ახლავე მზად არიან ბავშვების რაოდენობა 376-დან – 400-მდე გაზარდონ.

ბაღში სასკოლო ასაკის 80-მდე ბავშვია. სასკოლოდ მზაობის პროგრამა ყველა ბაღისთვის ერთნაირია, მაგრამ მისი შაბლონამდე, ტრაფარეტამდე დაყვანა, ანუ მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით ხელის დაბანა, არგებს საქმეს?

ელისაბედ გორგიშელი: „პროგრამა კარგია, მაგრამ მთავარი მისი განხორციელებაა. ყოველ აქტივობასთან დირექციის, აღმზრდელების, მეთოდისტის შემოქმედებითი მიდგომაა საჭირო. ბავშვი უნდა დააინტერესო, აიყოლიო; უნდა იცოდე, როგორ შესთავაზო ესა თუ ის თემა პატარებს, რომ ხალისით, თამაშ-თამაშ აითვისონ მასალა. საამისოდ კი ყოველი აქტივობის გააზრებადაგეგმვა და თითოეული აღსაზრდელის ინდივიდუალობაა გასათვალისწინებელი“.

ბაღში გამჭირვალობა და მუშაობის გუნდური პრინციპია დამკვიდრებული.

ელისაბედ გორგიშელი: „ჩამოყალიბებულია მშობელთა სათათბირო. მის მუშაობაში, 10 მშობელთან ერთად, ბაღის მუშაკებიც ვმონაწილეობთ. ყოველთვიურად იმართება თათბირები. მაგრამ, თუ საჭირო იქნა, დამატებითი თათბირებიც გაიმართება. ერთად ვმსჯელობთ პრობლემებზე და მათი გადაჭრის ოპტიმალურ გზებსაც ვსახავთ. ბავშვი – აღმზრდელი – მშობელი ერთიანი ჯაჭვია და, თუ ის გაწყდა, უპირველესად, სწორედ ბავშვი ზარალდება. ამიტომ ვმუშაობთ გუნდური პრინციპით. ვიცით რთული ოჯახები და რთული ბავშვები. ვმუშაობთ ასეთ ოჯახთანაც და ბავშვებთანაც.

თათბირებზე ანგარიშს ვაბარებ გაწეულ ხარჯებზე. მშობელს საშუალება აქვს გაიგოს, რაში დაიხარჯა თითოეული თეთრი. ვთავაზობთ დაეწრონ კერძების მომზადებას, იციან ბაღის შინაგანაწესი, რით ცხოვრობენ – რას მიირთმევენ, რას სწავლობენ, რით ერთობიან მათი შვილები ყოველდღიურად.“

ბაღში ინკლუზიური სწავლების საჭიროების 7 ყმაწვილია. დირექცია, აღმზრდელები, სპეციალური პედაგოგი **ზინა კენჭოშვილი**, ფსიქოლოგი **მარინე სივსივაძე,** ლოგოპედი **როზა ცირამუა** მშობლებთან, ბავშვების ექიმთან თანამშრომლობით, უპირველესად, ცდილობენ, რომ ასეთი აღსაზრდელები რაც შეიძლება ნაკლებად გამოირჩეოდნენ სხვათაგან. ტოლ-სწორ თანატოლებად, მეგობრებად აღიქვან.

ელისაბედ გორგიშელი: „მიმაჩნია, რომ სპეციალური განათლების საჭიროების ბავშვები საერთო ბაგა-ბაღებში უნდა იზრდებოდნენ. ეს ხომ გაცილებით გავუადვილებთ თანატოლებში ადაპტაციას. გაოცდებით, რაოდენ ნიჭსა და უნარს ავლენენ ასეთი პატარები. სწორედ ამას სჭირდება უდიდესი მოფრთხილება, სათუთად, საქმის ცოდნით მოპყრობა.“

დრო შეუჩერებლად მიქრის. ლამის ყოველი დღე აყენებს ახალ-ახალ მოთხოვნებს. 209-ე ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგებიც მზად არიან ფეხი აუწყონ თანამედროვეობას – აიმაღლონ ოსტატობა; მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ტრეინინგში, რაც აუცილებლად გაუღრმავებთ ცოდნას და რაც ისევ და ისევ პატარებს წაადგებათ.

ერთი სიახლე ბაგა-ბაღების მუშაობის 2 საათით გახანგრძლივებაა. ქალბატონი ელისაბედის თქმით, იდეა მისაღებია, მაგრამ მის განხორციელებას საფუძვლიანი გააზრება სჭირდება, რათა ბაღის მუშაკებიც, მშობლებიცა და, რაც მთავარია, ბავშვებიც კმაყოფილნი იყვნენ.

ჩემსას დავურთავ: სავარაუდოდ, ყველა მშობელი არ დატოვებს ორი საათით შვილს. დარჩენილები სხვადასხვა ასაკისა იქნებიან. მათ კი, განსხვავებული ფიზიოლოგიურ-ფსიქოლოგიური განვითარების გამო, მიდგომაც შესატყვისი დასჭირდებათ. როგორ გადაანაწილებენ ამ ბავშვებს? ერთ ჯგუფად გააერთიანებენ თუ ასაკობივრად დაყოფენ? ორივე გადაწყვეტილებას თავთავისი სირთულეები ახლავს, მაგრამ ჩაღრმავება ძალზე გაგვიგრძელებდა სიტყვას.

ბაღი რთული ორგანიზმია. წარმატება თითოეული რგოლის მიზანმიმართული, ურთიერთშეთანხმებული, შეწყობილი შემოქმედებითი მუშაობის შედეგია. ამიტომაა მისი ყოველი წევრის მუშაობა ძალზე მნიშვნელოვანი. სახელდობრ, აღმზრდელების: **ნორა ფანცულაიასი, ლამარა დვალის, მაია ფრიდონაშვილის, ნინო ლეკიშვილის, თამთა კერვალიშვილის, სუსანა თეიმურაზიანის, ლალი საჯაიას, ნაილე ბროლაშვილის, მანანა გველესიანის, მანანა რაჭველიშვილის, თეა ჯინჯოლავას, ნინო ბეგიაშვილის, მარინა პატარქალიშვილ-ივანიშვილის, ციზარო ჭანტურიძის, ნინო დეკანოიძის;** მათი თანაშემწეების: **ნანი დოლიძის, ქეთევან მდივნის, ანიკო ბოკუჩავას, სოფია ხარჩილავას, დალი ასლამაზაშვილის, ნატო ხაჩიძის, ნელი ჭუჭულაშვილის, მაია მურადაშვილის, მანანა მელიქიძის, ხათუნი ტაბატაძის, ქეთევან ბელქანიას, თამარ თაბაგარის, ნუნუ მანჯგალაძის, მანანა ტერაშვილის;** მუსიკის პედაგოგების: **ლალი სიხარულიძის, ია ქსოვრელის, მზია ხომასურიძის, მანანა რაზმაძის;** მზარეულისა და მისი დამხმარეების: **ზეინაბ ხარჩილაძის, ნათია ყრუაშვილისა და სოფიკო აბესაძის;** დამლაგებლების: **სალომე კაბისაშვილის, მზია ფრიდონაშვილის, მაია ბათურიშვილის, მანანა ქიტიაშვილის, ლია კოკაურის, მარინე ლალიაშვილის, ასმათ ლაცაბიძის;** მრეცხავების: **სოფიო ბოხაშვილის, ქეთევან ჩხაიძის, ირა ორკოდაშვილის, მანანა ქვარცხავას, თინა ქოქოსაძის, მზია ჯოხაძე-კერესელიძის, ნანა ბოხაშვილის;** დარაჯების: **ლეილა** და **შალიკო მკლავიშვილების;** მუშა **ვალტერ ბაგაურის;** მებაღე **ნინო ლოლაძისა** და მეეზოვე **გულნარა გოგუასი.**

უნარიანად უძღვებიან სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, შემოქმედებითად მუშაობენ კოლექტივთან დირექტორის მოადგილე **ქეთევან ძეგლიგაშვილი,** საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინარი **ნინო გიორგაძე,** დირექტორის თანაშემწე **თამთა ანდღულაძე:** სამეურნეო ნაწილში ყველაფერი წესრიგში აქვს კოორდინატორ **ქეთევან კვაშილავას;** ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **მაკა ჩიტაია** დღენიადაგ ზრუნავს მთელ ბაღში ჰიგიენური გარემოს გამო; საქმისმწარმოებლებს: **სალომე ბოდოკიასა** და **ნათელა ტაბატაძეს** ყველა საბუთი დროულად და გამართულად აქვთ გამზადებული.

აი, ქალბატონ **ელისაბედის** ნახსენები მტკიცედ გამოჭედილი ჯაჭვი, რომლის ყოველი რგოლის სიმტკიცე, ურთიერთშეთანხმებულობა განაპირობებს 209-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა კეთილდღეობას.

კონსტანტინე გურგენიძე

ბაღნარია მე-60 ბაგა-ბაღი

ბულბულის სტვენა და ლეღობრივი ზრუნვა

თბილისის მე-60 ბაგა-ბაღში პატარებისთვის საუცხოო პირობებია შექმნილი. ნიჭიერი, შემოქმედი დირექტორის **მარინე სამსონიძის** დაუღალავი შრომის შედეგი თვალშისაცემია. ქალბატონი მარინე დედაუნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია, წლების მანძილზე ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა. გახლდათ ნაძალადევის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, 2007 წლიდან კი, კონკურსის წესით დანიშნული დირექტორია. ბევრი პრობლემა დახვდა – დირექტორის ძალისხმევით, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა. ამჟამად ცეროდენების ბაღნარად ქცეული ზღაპრული სამყაროთი უთუოდ მოიხიბლებით.

ქალბატონ მარინეს კოლექტივთან და მშობლებთან შემოქმედებითი ურთიერთობა აქვს. პატარებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნაში დირექტორთან ერთად ბევრს ზრუნავენ საუკეთესო სპეციალისტები: დირექტორის მოადგილე **თინათინ ფიცხელაური,** საქმისმწარმოებელი **დალი ნიაური** და თანაშემწე **ნინო ლომსაძე,** მნე **მზია ჭანკოტაძე,** ექთანი **ქეთევან კახობერაშვილი.**

ნორჩების შემეცნებითი უნარების განვითარებას, ესთეტიკურ აღზრდასა თუ მათი ინტერესების სფეროს გაფართოვებას კარგად უძღვებიან საუკეთესო აღმზრდელები და აღმზრდელის თანაშემწეები – 3-4 წლიანთა ჯგუფებში: **გიული ბარნაბიშვილი, ფატიმა ოდიშარია, მზია ორჯონიკიძე, ნინო ბოკუჩავა, ლუდა ფარსადანიშვილი, მანოლი ღვინაძე, ნინო გიორგობიანი, თამარ ორჯონიკიძე, ლაურა ლიჩელი, ნინო კუსიანი და ქეთევან სამხარაძე;** 4-5 წლიანთა ჯგუფებში: **დიანა შარიქაძე, ქეთევან პაპოშვილი, ჯულიეტა სოხაძე, ანასტასია ლავერაშვილი, სოფიო ტაბიძე, სოფიო ჯოლია, ნატო გამჯაშვილი, ლენა ხუდოევა;** 5-6 წლიანთა ჯგუფებში: **თინა დავითიძე, ციალა ჩალიგავა, ციცინო სხირტლაძე, ირმა გოგიბერიძე, მაია მახაჭაშვილი, ნაზიბროლა ობგაიძე, ლაურა ლიჩელი, მთვარისა ობოლაძე, მაკა ხაჩიური, ლელა კანდელაკი, ზაირა გედევანიშვილი** და **თამარ სოიტაშვილი;** ბაგის ჯგუფებში: **ლია ჩიქოვანი** და **ციალა მახარობლიშვილი, ნინო ჯიბლაძე, ირინე გელაშვილი, ლალი ამირხანაშვილი** და **ეკატერინე ოდელაძე;** ახალგაზრდა აღმზრდელები – **ნათია ხუნაშვილი** და **მაია ჟორჟოლიანი.**

აქ წლების განმავლობაში მოღვაწეობენ ნიჭიერი, გამოცდილი და ღვაწლმოსილი აღმზრდელები: **ციალა მახარობლიშვილი, ლიანა ჩიქოვანი, ციცინო სხირტლაძე, თინა დავითიძე, მზია ორჯონიკიძე, გიული ბარნაბიშვილი, ჯულიეტა სოხაძე.**

საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი, **ნინო ბიაშვილი:** ჯგუფებში ხორციელდება ბავშვთა უფლებების კონვენცია, რომელიც თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული, სასწავლო მზაობის ჯგუფებში ღია აქტივობები ტარდება. ცეროდენები ეჩვევიან ბუნებასთან ურთიერთობას, მის მოვლას. მონაწილეობას ვიღებთ სხვადასხვა აქტივობაში.

ბაღში მუშაობს მულტიდისციპლინარული ჯგუფი – სპეც. პედაგოგების **შორენა გოცირიძისა** და **თამილა გეგეშიძე-ჯოხაძის,** ლოგოპედ **მზია სტვილიასა** და ფსიქოლოგ **ირინე ცხოიძის** შემადგენლობით. მათი მუშაობა მართლაც რომ საინტერესო და შედეგიანია.

ცეროდენების მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებასა და ხელოვნების სიყვარულზე, ასევე აქტივობებისა და ზეიმების უზადოდ გაფორმებაზე, მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები – **ლედი ლორია, ქეთევან ზუბიაშვილი** და **მანანა მამალაძე** ზრუნავენ.

ბაგა-ბაღში თვალსაჩინოდ არის გამოკრული მენიუ, რომელსაც მშობელი ყოველდღიურად ეცნობა. კეთილმოწყობილ და კარგად აღჭურვილ სამზარეულოში აღსაზრდელებისთვის გემრიელ კერძებს ამზადებენ: მზარეული **მანანა ქაჩლიშვილი** და მზარეულის დამხმარეები – **ციცინო მილაძე, დარეჯან ივანაშვილი, ქეთევან გოცირიძე.** როგორც ქალბატონმა მანანამ აგვიხსნა, ასეთი კვება, როგორიც უკანასკნელ წლებშია – **ხორცი, ქათამი, თევზი, რძის პროდუქტები, ხილი** და სხვა – არც ახსოვთ.

ბაგა-ბაღის ორივე ფლიგელის განკრიალებულ, თვალსაჩინოებებითა და სათამაშოებით გაჯერებულ ჯგუფებსა და დერეფნებში სისუფთავეზე ზრუნავენ დამლაგებლები: **ციალა პეტროსიანი, ქეთევან გეგეჭკორი, თამარ ყუბანეიშვილი, მზია აბუაშვილი, ნანი ქალიაშვილი, ეთერ ბოლქვაძე, ნუნუ ბალამწარაშვილი, ინგა გურგენიშვილი;** მრეცხავი **ლანა გუბელაძე.**

დირექტორმა განსაკუთრებულად გამოყო და განეული შრომისთვის მადლობა გადაუხადა ტექნიკურ მუშაკებს: **ზაზა მიქელაძეს, იზა სარდიაშვილს, ანზორ ხვედელიძეს, ვლადიმერ ჯირკვალიძეს, თამარ მინდორაშვილს.**

ბოლო წლებში სააგენტოს, მერიისა და გამგეობის დახმარებით, საბავშვო ბაღებში მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, შპს **„ნილი“** უმაღლესი ხარისხის პროდუქტით ამარაგებთ, კალორაჟი დაცულია, ყველანაირ სტანდარტს შეესაბამება.

ყოველი დღე საქმიანი და ხალისიანია. ხშირად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობაში. საბავშვო შემოქმედების გამოფენა-ფესტივალზე **„პატარა ხელებით“** და ზაფხულის ყველაზე წიგნიერი მხატვრის კონკურსში მონაწილეობისათვის, ბაგა-ბაღების სააგენტოსა და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ, სიგელებით დაჯილდოვდნენ. გასაკეთებელი კიდევ ბევრი აქვთ, ისეთი შემოქმედი და ენერგიული დირექტორი, როგორიც **მარინე სამსონიძე** გახლავთ, გვჯერა, ყველა საქმეს საუკეთესოდ მოაგვარებს.

ნათია გურგენიძე

ღმერთმა დაგლოცოთ, 173-ე ბაგა-ბაღის ცეროდენებო!

ჭკვიანი და ნიჭიერი აღსაზრდელებით ამაყობენ



სკოლამდელი აღზრდა და განათლება ბავშვთა განვითარებისათვის უმნშვნელოვანესია, რისთვისაც მთავარია შესაბამისი გარემოს შექმნა. ამ მხრივ, შესანიშნავი მდგომარეობაა თბილისის 173-ე ბაგა-ბაღში. აქ საუკეთესო პირობებია შექმნილი პატარების აღზრდა-განვითარებისთვის. ბაღის კოლექტივი და აღმზრდელები გამოირჩევიან პატარებთან ინდივიდუალური მიდგომით და გულისხმიერებით, დედობრივი მზრუნველობით. მთელი კოლექტივი ერთ გუნდად არის შეკრული, ყველა მუშაკი გატაცებით, კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას.

173-ე ბაღი მუხიანის მშვენებაა და დიდ პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში. როგორც უკვე აღვნიშნე, აქ ყველანაირი პირობაა იმისათვის, რომ პატარებმა თავი კომფორტულად და ბედნიერად იგრძნონ. ეზოში შესვლისთანავე დარწმუნდებით, რომ ბაღში ყველაფერი წესრიგშია. პატარებისთვის დამონტაჟებულია ატრაქციონი, ეზო შემოღობილია და გამწვანებული, რომელსაც ამშვენებს სხვადასხვა ჯიშის წიწვოვანი, მარადმწვანე მცენარეები. დედაქალაქის მერიის ხელშეწყობით ეზო მოასფალტდა, გაკეთდა ბორდიურები, გამოიცვალა საკანალიზაციო სისტემა და სანიაღვრე ჭები.

შენობაში კი, ინფრასტრუქტურა მთლიანად განახლებული და მოწესრიგებულია. ბაღის ფოიეს ამშვენებს სხვადასხვა აპლიკაცია, სათამაშო და სტენდი. გარემონტებული და საგულდაგულოდ მორთულ-მოკაზმულია ბავშვების დასასვენებელი ოთახი, სადაც პატარები მულტფილმებს უყურებენ. საბავშვო დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, ლიტერატურით, განმავითარებელი, დიდაქტიკური სათამაშოებით.

ბაღს უკვე 11 წელია წარმატებით ხელმძღვანელობს გამოცდილი და ენერგიული დირექტორი ქალბატონი **მარინე ზაალიშვილი**, რომელიც უკვე 41 წელიწადია განათლების სფეროში მოღვაწეობს. იგი პროფესიით ფილოლოგი და ბუღალტერ-აუდიტის სპეციალისტია. სხვადასხვა წლებში მუშაობდა სკოლაში პედაგოგად, იყო სკოლის

დირექტორი, გლდანის რაიონის განათლების განყოფილების გამგე და მერიის მარალჩინოსანიც. ქალბატონ მარინეს პროფესიონალიზმისა და საქმისადმი თავდადების შედეგია ის, რომ ბაღში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მაღალ დონეზეა და პატარები სკოლაში კარგად მომზადებულები მიდიან.

173-ე ბაგა-ბაღში სულ 567 არსაზრდელია, 14 ჯგუფია, ხოლო 76 თანამშრომელი ერთმანეთს მხარში უდგას. აქ აღსაზრდელებს დედობრივ მზრუნველობას არ აკლებენ. წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა. სკოლაში წელს 178 პატარას გააცილებენ. ბაღს ემსახურებიან მაღალკვალიფიციური მეთოდისტი და ფსიქოლოგები, რომლებიც თანამშრომლობენ არამარტო ბავშვებთან, არამედ პედაგოგებთანაც.

ბაგა-ბაღში ძალიან ბევრია ნიჭიერი აღსაზრდელი, იმდენია, ყველას გაცნობა ვერ შევძელით. გამოირჩევიან გონიერებით და უფროსების ყურადღებას იმსახურებენ: **ტაისია შუბითიძე (მე-4 ჯგუფი), ანასტასია ყიყიაშვილი, ანასტასია ჭუმბურიზე და ბარბარე წიკლაური (მე-5 ჯგუფი), გაბრიელ ქერაშვილი, ალექსანდრე შეყილაზე, გაბრიელ ბიბილეიშვილი, მატრინა მუმლაძე, მათე მუმლაძე, თათია სიხაშვილი და მარიამ დევრისაშვილი (მე-6), ანა გვიანიძე, ნია ვარდიძე და ანასტასია ქოჩორაშვილი (მე-7), ბარბარე ჯინჭარაძე, საბა კიკნაძე და საბა მდივნიშვილი (მე-8), სოფიო შარიქაძე, ილია ნასარიძე, ბარბარე ხაჭაპურიძე და საბა მიშელაშვილი (მე-9), იოანე ცხადაია და ლილე შვანგირაძე (მე-10), თამარ ყვავაძე (მე-11), ბარბარე მუმლაძე, ელენე ნოზაძე, ბარბარე რობაქიძე, ლიზი ნადიბაიძე, სანი ბოგვერაძე, გიორგი რუბაშვილი, ანეტა ჯაოშვილი და ბარბარე დალაქიშვილი (მე-12), დაჩი ფოფხაძე, მარიამ ფოფხაძე, და მიხეილ ტუგუნიძე (მე-13), დაჩი ჩიტალაძე და ლაზარე კომუშოვი (მე 14-ე ჯგუფი).**

ბაღში 18 განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელია, რომლებთანაც მეთოდისტის ხელმძღვანელობით შედეგიანად მუშაობენ ფსიქოლოგები: **მაია რამაზაშვილი, ქეთევან ესართია**, სპეცპედაგოგები: **მაია ქისტაური, ნათია ასლანიკაშვილი** და ლოგოპედი **ცისანა კილაძე**. აღსაზრდელებთან მულტიდისციპლინარული პრინციპით ხელმძღვანელობენ და საკმაოდ მაღალ შედეგებს აღწევენ.

დირექტორის თქმით, ბაგა-ბაღში ხშირად იმართება შემოქმედებითი ღონისძიებები, საახალწლო კარნავალი და გამოსაშვები კონცერტი, რომლებსაც მშობლებიც ესწრებიან. არათუ ესწრებიან, თავადაც ხალისით მონაწილეობენ. ასევე, ატარებენ საზეიმო დილას (დედის დღე, შემოდგომის გაცილება), რომელსაც შიდა ღონისძიებას უწოდებენ და იგი ძალიან ეფექტიანი, ემოციურია.

ზეიმების მომზადებაში აქტიურად არიან ჩართულნი, ბაგა-ბაღის ცხოვრებას ალამაზებენ მუსიკის პედაგოგები: **მარიამ სიფრაშვილი, ნატალია ქარჩავა** და ცეკვის მასწავლებელი **ჯანო თითირაშვილი**.

ბაღში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობას. ქალბატონი მარინე და ბაღის თითოეული თანამშრომელი ძალ-ღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ ბაგა-ბაღი მოწოდების სიმაღლეზე იყოს. აღმზრდელების საქმიანობით კმაყოფილნი არიან მშობლები და მთლიანად უბანი. მოკლედ, ხალისი, სიყვარული და სიხარული სუფევს 173-ე ბაღში. ღმერთმა დაგლოცოთ, ცუგრუმელებო!

მზია გოგოძე

ახალი ბაგა-ბაღი ძველ ნაფუძარზე

მაღლიანი საქმე – მაღლიან ადგილზე

თურმე, ჩვენშიც შესაძლებელია სამართალმა პური ჭამოს.

და მერე როგორი! – ამქვეყნად „უგემრიელესი პური“. დავაკონკრეტოთ: თბილისის 74-ე ბაგა-ბაღის ადგილზე, სიძველისგან რომ ინგრეოდა, მის იმჟამინდელ მფლობელს – მაშინ იყო, რომ, ასე თუ ისე, იძენდნენ სკოლებსა თუ ბაგა-ბაღებს – 22-სართულიანი ნაგებობის წამოჭიმვა სდომებია, მაგრამ არ დაანებეს იქაურმა მოსახლეობამ, ბაღის მუშაკებმა, მერიაც ამოუდგა მხარში და ძველ ნაფუძარზე აგებულმა, ყველა თანამედროვე მოთხოვნის დონეზე გამართულმა 74-ე ბაგა-ბაღმა ამ სასწავლო წელს უკვე 380 აღსაზრდელი მიიღო.

აი, სწორედ ეს პატარები – ჩვენი ქვეყნის მომავალია ზემონახსენები უგემრიელესი, უსათუთესი და უმნიშვნელოვანესი „პური“.

ბაღის ფეხზე დაყენებაში დირექტორის, ქალბატონ **ია ნინუას** თქმით, დიდი წვლილი მიუძღვით და ახლაც თავდადებულად შრომობენ მეთოდისტი **ინგა ქოქრაშვილი,** ექთანი **ლელა ცუცქირიძე.** ბუღალტერი **ქრისტინე ოქროპილაშვილი,** საქმისმწარმოებელი **ნინო ბერიძე,** მზარეული **ლალი ლალიაშვილი,** მნე **ნატო ლოლუაშვილი.**

უნარიანად უძღვება კოლექტივს დირექტორის მოადგილე **მარიამ გოგოლაძე.**

აღმზრდელები: **მარიამ ატაშვილი, თეონა გოგელია, ქეთევან გეგელაშვილი, მზია ოდობაშვილი, თამარ სანიკიძე, ნათია მახარაძე, მაკა მასიკაშვილი, ხათუნა ფაღავა, ნაირა გაჩეჩილაძე, ნანა ქალდანი, ხათუნა გვიმრაძე, სოფიო წულაია, სოფო პოპიაშვილი, ქეთევან ჯანიაშვილი, თეა თვათვაძე, ლალი ოქროჭელიძე, ნათია ბახლიშვილი** მოვალეობის სრული შეგნებით, მიზანმიმართულად, რუდუნებით შრომობენ პატარების საკეთილდღეოდ.

ქალბატონმა იამ დასავლეთ ენების სპეციალობით დაამთავრა თსუ და ავსტრიის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ SOS-ის ნუცუბიძის პლატოზე მდებარე მიუსაფარ ბავშვთა სოფელში დაიწყო მუშაობა ინგლისური ენის პედაგოგად. შემდეგ – კოორდინატორად საგანმანათლებლო განხრით. 2014 წელს 117-ე ბაგა-ბაღის დირექტორად დანიშნეს; დაბოლოს, 74-ე ბაგა-ბაღი.

ბაღში დიდებული პირობებია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფილად წარმართვისა და პატარებისთვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. სპეციალური განათლების საჭიროების მქონე 4 აღსაზრდელთან მუშაობენ სპეცპედაგოგი, ლოგოპედი, ფსიქოლოგი. სკოლისთვის მზაობისთვის, რასაც ბაგა-ბაღების სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა ითვალისწინებს, ბავშვებს უვითარებენ სხვადასხვა უნარს, თანდათან უყალიბებენ პიროვნებისთვის აუცილებელი თვისებების საფუძვლებს. საამისოდ გამოყენებულია: ხელოვნება, მუსიკა, მოძრაობა, სამაგიდო თამაშები, წიგნიერება, დრამატული, სენსორული აქტივობები, მეცნიერება, კონსტრუქციები, დილისა და საღამოს წრეები...

ყმაწვილები სწავლობენ ფლორასა და ფაუნას, ქუჩაში მოძრაობის წესებს, ტოლერანტობას; ეცნობიან სხვადასხვა პროფესიას და სხვა.

დირექციას, პედკოლექტივს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა აქვს მშობლებთან. მათ კარგად უწყიან, რას მირთმევენ, რით ერთობიან, რას სწავლობენ, როგორ ვითარდებიან ყოველდღიურად მათი შვილები. სირთულეებია? ერთობლივად, გუნდურად წყდება ყველა პრობლემა.

ია ნინუა: „ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ბევრი კარგი სიახლე იგეგმება. მაგრამ იდეა ერთია, მისი ხარისხიანად განხორციელება კი – სხვა. სწორედ ჩვენ უნდა შევასხათ ხორცი სიახლეებს, გონივრულად დავნერგოთ მუშაობაში. ცხადია, ამას სათანადო ცოდნა, გამოცდილება და მონდომებაც სჭირდება და 74-ე ბაგა-ბაღის კოლექტივს ნამდვილად შესწევს სიახლეთა წარმატებით დანერგვის უნარი.“

ძალზე მადლიან ადგილზეა 74-ე ბაგა-ბაღი – მიჯრითაა წმიდა კვირიკეს სახელობის ტაძარი. ჩემი სტუმრობისას მსახურების ხმა გამოდიოდა. ცხადია, ეს ხმაცა და, შესატყვისად, მადლი ბაღის აღსაზრდელებზეც გადადის.

ქალბატონმა იამ მითხრა, დირექტორად შარშან, 28 ივნისს დამნიშნეს და „გასაღები ჩამაბარესო“.

გვჯერა – ამაში 74-ე ბაგა-ბაღის კოლექტივის მუშაობა გვარწმუნებს – ეს გასაღები არა მხოლოდ ბაღის ჭიშკრის გასაღებად გახლავთ გამიზნული, არამედ, სიმბოლურად, ყოველი აღსაზრდელის გულისკენ მიმავალი კარის გასაღებადაც, რასაც ასეთი რუდუნებით ახერხებენ კიდეც 74-ელები.

წლეულს ბაგა-ბაღის პირველი 88 მერცხალი შეაღებს სკოლების კარებს. ცხადია, თან წარიტანენ ბაღიდან გამოყოლილ მადლსა და გულის სითბოს.

ამ ბაგა-ბაღში „მერცხლები“ მუდამ იჭიკჭიკებენ.

კოტე სარალიძე

იუმორნარევი რეპლიკა

რა საჭირო იყო ეს, ირმა?

ტაბახმელელ ცეროდენებს უყვართ თავიანთი კოხტა ბაღი, აქეთკენ მოუხარიათ. მშობლებიც კმაყოფილნი არიან. გადავწყვიტე, **ცუგრუმელების ცხოვრება ამესახა, აღმზრდელთათვის შრომა დამეფასებინა, მადლობა მეთქვა.** დირექტორი **ირმა იაშაღაშვილი** თანხმობით შემხვდა. ელფოსტით გავუგზავნე კითხვები და თანმხლები ფოტოებით პასუხ-ინფორმაციის მიღებას დაველოდე. გადის დრო, ჩამი-ჩუმი – არსაიდან. მობილურით შევეხმიანე, – ხვალ გამოგიგზავნიო. ასე ხუთჯერ მომატყუა. მენეჯერი შეეხმიანა. ისიც მოატყუა. მობილური რამდენ თანხას ყლაპავს, ყველამ იცის. ირმამ ტაქტიკა შეცვალა: ზარზე დუმდა. ესმოდა და დუმდა. მეც მივმართე კონტრტაქტიკას, სხვას დავარეკინე. მაშინვე უპასუხა: ხვალ გამოგიგზავნი მასალასო. კიდევ ბევრმა **„ხვალემ“** ჩაიარა. ვერ ვხვდები, რატომ მატყუებს, რა მიზნით? ერთხელ შეეშალა და შემთხვევით ხმა გამცა, მიცნო და უმალვე გათიშა ყურმილი. ერთი თვე გავიდა და ზარზე ხმა გამცა, მყის გამითიშა მობილური. რატომ, რატომ ირმა?! **რა ჰქვია ამას?** რა საჭირო იყო მამისტოლა კაცთან ასეთი კატა-თაგვობანა?

არის შემთხვევა, როცა თანხმობას გაცილებით სჯობს თქმა უარისა. აი, ირმა, თქვენმა კოლეგამ, თქვენი სოფლის საჯარო სკოლის დირექტორმა **თამარ ოღლიშვილმა** მსგავს შეთავაზებაზე მაშინვე უარით თავაზიანად მიპასუხა: **გმადლობთ, ამ ეტაპზე თავს ვიკავებ. ბოდიშს გიხდიო. თქვენი მხრიდანაც ასე არ სჯობდა, ირმა?** რა დასკვნა გავაკეთოთ თქვენი ქცევიდან? რა და: სწავლაში სუსტი მოსწავლე ყოფილხართ, თორემ უთუოდ გეცოდინებოდათ შოთას აფორიზმი: **„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.“** თორემ იაკობ გოგებაშვილის დაფუძნებულ საქართველოს მასწავლებელთა გაზეთს ასე აბუჩად არ აიგდებდით. რაც არ უნდა იყოს, თქვენ ხომ მაინც პედაგოგი ბრძანდებით?

ყოჩაღ, ირმა! გმადლობთ, ირმა!

მოტყუება მხოლოდ ფეხბურთშია მიღებული.

მოსე მწერალი

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ N3 (4562)
28 თებერვალი / 2018 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედაქტორები

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 597 765 810;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009